შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მახასიათებლები

1. ზოგადი დებულებები

პროფესიული განათლება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საერთაშორისო ასპარეზზე, რაც განაპირობებს პროფესიული სასწავლებლისათვის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პრიორიტეტულობას. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (შემდეგში - აკადემია) ორიენტირებულია შესთავაზოს მსმენელებს/სტუდენტებს და მასწავლებლებს უცხოეთში მობილობა, პროფესიული განათლების მიღება და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სხა საკითხები.

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის არსი

2.1 ინტერნაციონალიზაციის მაღალი მაჩვენებელი ქმნის კონკურენტულ უპირატესობას, რადგან საერთაშორისო აქტივობებში ჩართულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მოიზიდოს მეტი ადგილობრივი და უცხოელი მსმენელი/სტუდენტი, მეტი მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართოს გაცვლით პროგრამებში, იყოს ჩართული საერთაშორისო პროექტებში და მიიღოს მეტი სარგებელი ხარისხის გაუმჯობესების და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისაგან;

2.2 აკადემიისათვის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს საშუალებას, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, გაითვალისწინოს და განახორციელოს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. აკადემიის ამოცანაა, უზრუნველყოს მსმენელების/სტუდენტების და მასწავლებლების წვდობა საერთაშორისო გამოცდილებაზე;

2.3 ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი ასპექტებია:

ა. აკადემიის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა;

ბ. უცხო ენის კომპონენტის გაძლიერება;

გ. ეცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;

დ. უცხოელი მსმენელების/სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

ე. მსმენელების/სტუდენტების და მასწავლებლების საერთაშორისო მობილობა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა;

ვ. გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;

ზ. საერთაშორისო მემორანდუმების გაფორმება უცხოეთის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და უცხოურ პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანება;

თ. უცხოელი მასწავლებლების ჩართულეობით საერთაშორისო ტრენინგების და ვორკშოპების ორგანიზება.

3. აკადემიის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა

ა. აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით აკადემიის რეკლამირების ხელშეწყობა საერთაშორისო ასპარეზზე;

ბ. აკადემიის მიერ განხორციელებული აქტივობების სისტემატური ასახვა და განახლება აკადემიის უცხოენოვან ვებ-გვერდზე;

გ. საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებში აკადემიის გაერთიანების ხელშეწყობა;

დ. საერთაშორისო პარტნიორების მოძიება, საერთაშორისო პროფესიულ დონეზე ფორუმებში მონაწილეობის მიღება, ურთერთთანამშრომლობის მიზნით მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი აქტივობების განხორცეიელება;

ვ. მსმენელების/სტუდენტების და მასწავლებლების საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ზ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენის კომპონენტის გაძლიერება.

4. საერთაშორისო მობილობის განხორციელება

ა. მსმენელების/სტუდენტების და მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება და საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მოქნილი მექანიზმის შექმნა;

ბ. მსმენელების/სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშწყობა პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

გ. პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაცვლითი პროგრამების განხორციელება;

დ. მსმენელთა/სტუდენტთა და მასწავლებელთა საერთაშორისო ტრენინგებში და ვორკშოპებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა;

ე. პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით აკადემიის მიერ უცხოელი მასწავლებლების/ტრენერების მოწვევა;

ვ. უცხოელი მსმენელებისათვის სრულყოფილი სერვისების შეთავაზება;

ზ. უცხოელი მსმენელების მიღების პროცესთან დაკავშირებული ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხების მოგვარება;

ი. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარების მიზნით აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა და ვიზიტების ორგანიზება პარტნიორ უცხოურ ორგანიზაციებში.

5. უცხოელი მსმენელების/სტუდენტების და უცხოელი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები

ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია უცხოელი მსმენელების/სტუდენტებისა და უცხოელი პერსონალის მოზიდვა. აკადემიამ ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში შეიმუშავა უცხოელი პერსონალის და მსმენელების/სტუდენტების მოზიდვის შემდეგი მექანიზმები:

ა. უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომელთა სწავლის შედეგები შესაბამისობაში იქნება დასაქმების საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან;

ბ. აკადემიის საერთაშორისო ცნობადობის და პოპულარიზაციის ზრდა, საერთაშორისო პროექტებში, ფორუმებში მონაწილეობით და ავტორიტეტულ საერთაშორისო ასოციაციაბში გაწევრიანებით;

გ. უცხოელი მსმენელების/სტუდენტების და პერსონალის მოსაზიდად სწავლა/სწავლების საუკეთესო პირობების შექმნა;

დ. ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება და ყოველწლიური მონიტორინგის სისტემის დანერგვა;

ე. აკადემიის ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის მოწესრიგება და საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა;

ვ. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობის მიღება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ორმხრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ზ. უცხოელი მსმენელების/სტუდენტების რეკრუტირების მიზნით შესაბამის სააგენტოებთან თანამშრომლობა და მათთვის მასალის მიწოდება.

6. ორგანიზაციული სტრუქტურა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვა

6.1 ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულია აკადემიის სტრქუტურული ერთეულები თავისი კომპეტენციის მიხედვით;

6.2 ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვის მიზნით აკადემიაში შექმნილია სამართლებრივი უზრუნველყოფის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

7. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შეფასება

7.1.საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და ატარებს ყოველწლიურ ხასიათს;

7.2. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სპეციალურ შეფასების ფორმას/კითხვარს (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები).

8. დასკვნითი დებულებები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი ძალაში შედის მისი დამტკიცების შემდეგ და მასში ცვლილებების და დამატებების შტანა ხორციელდება არსებული წესის თანახმად.